შპს „ბარაკონში“ განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ირაკლი სალუქვაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

წევრები:

თეა მაისურაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ბარაკონი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **204877231**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 8 მაისის N331 ბრძანების თანახმად, 2019 წლის 10 მაისს ექსპერტთა ჯგუფი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შპს „ბარაკონში“ იმყოფებოდა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების (არაგეგმიური) მონიტორინგის მიზნით. მონიტორინგის ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა დაწესებულების ფართის ცვლილება.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტებმა შეიმუშავეს, ვიზიტის მიზანთან შესაბამისი დღის წესრიგი, შეისწავლეს დაწესებულების ვებ გვერდი და მასზე განთავსებული ინფორმაცია.

დაწესებულებას ავტორიზაცია მიენიჭა 2018 წლის 13 ივლისის N122 გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას უფლება აქვს განახორციელოს 9 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 2 მოდულური: „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“ (ამჟამად სწავლობს 20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

პროფესიული სტუდენტი) და „ინფორმაციის ტექნოლოგია“ (ამჟამად სწავლობს 15 პროფესიული სტუდენტი). დანარჩენი 7 საგნობრივი პროგრამიდან ორზე - „მასაჟისტი“ და „კბილის ტექნიკოსი“ სტუდენტები არ ირიცხებიან, ხოლო 5 პროგრამაზე სტუდენტები განაწილებული არიან შემდეგი თანაფარდობით:

1. პრაქტიკოსი ექთანი - 45
2. ექთნის თანაშემწე - 9
3. ფარმაცევტის თანაშემწე - 24
4. კომპიუტერული გრაფიკოსი - 11
5. ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) - 19

მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექპერტებმა იმუშავეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრული მე-7 მუხლით გათვალისწინებული ქვესტანდარტების ფარგლებში. შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ მოხდა სასწავლო ფართისა და ადმინისტრაციის სამუშაო გარემოს დათვალიერება, ექსპერტებმა შეამოწმეს და შეაფასეს განთავსებული ინვენტარი და ტექნიკა.

დაწესებულებამ უზრუნველყო ექსპერტებისთვის სამუშაო გარემოს შექმნა და მოთხოვნილი დოკუმენტების დროულად წარმოდგენა. ექსპერტებთან გასაუბრებაში მონაწილეობას იღებდნენ დაწესებულების დირექტორი, მოადგილე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აღსანიშნავია, რომ ადგილმდებარეობის ცვლილება დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

ვიზიტის დასასრულს ექპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს ჯგუფის მუშაობის შედეგი და მისცა რეკომენდაცია ბიბლიოთეკის გამართულ მუშაობასთან დაკავშირებით, რომელიც გაზიარებულ იქნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2019

V. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	☐

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა შეფასებით არ გამოვლენილა.

VII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ექსპერტთა შეფასებით არ გამოვლენილა.

VIII. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 2.3 - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია აწარმოოს მკითხველის ბარათი და მკითხველთა მომართვიანობის აღრიცხვის ჟურნალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

IX. სტანდარტების შეფასება

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
შპს ბარაკონი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე 01.05.2019 წლიდან 01.05.2025 წლამდე ფლობს 600 კვ.მ ფართს თბილისში ანა პოლიტკოვსკაიას N4 (ყოფ. ჯიქია) მისამართზე, რაც სავსებით საკმარისია კოლეჯის მიზნების რეალიზაციისთვის.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას N4 (ყოფ. ჯიქია) VI სართული	600

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით N [redacted]
2. 2019 წლის 13 მარტის იჯარის ხელშეკრულება N5-03/19

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
[ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას აქვს 8 სასწავლო ოთახი, საიდანაც 6 არის A ტიპის, 2 - B ტიპის, რომლებშიც განთავსებულია პროგრამებისთვის საჭირო ინვენტარი და ტექნიკა და სასწავლო პრაქტიკის განხორციელებისთვის სათანადო აღჭურვილობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

აუდიტორია	ინვენტარი და ტექნიკა
აუდიტორია N4 A გარემო	1 კომპიუტერი სრული კომპლექტით და კომპიუტერის მაგიდით, 1 კომბაინი (პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი) სადემონსტრაციო მონიტორი, 11 მაგიდა ორადგილიანი (აქედან ერთი არის მასწავლებლის), 22 სკამი, კედლის დაფა, სადგამიანი დაფა. 1 მაგიდა სხვადასხვა პრაქტიკული დავალებების შესრულებისთვის
აუდიტორია N16 B გარემო	12 კომპიუტერი სრული კომპლექტით (1 მასწავლებლისთვის), 1 კომბაინი (პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი) პროექტორი, 12 მაგიდა, 12 სკამი.
აუდიტორია N6 B გარემო	19 კომპიუტერი სრული კომპლექტით, 1 კომბაინი (პრინტერი, ქსეროქსი, სკანერი), 1 პროექტორი, 19 მაგიდა, 19 სკამი. 3 მაგიდა პრაქტიკული დავალებების შესრულებისთვის, რკინის კარადა მასალა-წედლეულის შესანახად
აუდიტორია N15 A გარემო	სადემონსტრაციო მონიტორი, 18 ორადგილიანი მაგიდა, 1 მასწავლებლის მაგიდა, 38 სკამი, დაფა, 1 სამედიცინო ტახტი
აუდიტორია N11 A გარემო	1 კომპიუტერი სრული კომპლექტით მაგიდით, სადემონსტრაციო მონიტორი, დაფა, 15 ორადგილიანი მაგიდა, 1 მაგიდა პროფესიული მასწავლებლისთვის, 32 სკამი.
აუდიტორია N7 A გარემო	სადემონსტრაციო მონიტორი, დაფა, 7 ორადგილიანი მაგიდა, 1 მაგიდა პროფესიული მასწავლებლისთვის, 1 კომპიუტერის მაგიდა, 1 კომპიუტერი, 15 სკამი.
აუდიტორია N9 A გარემო	სადემონსტრაციო მონიტორი, 1 კომპიუტერი სრული კომპლექტით, 23 მაგიდა, 45 სკამი.
აუდიტორია N14 A გარემო	20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი, 6 ოთხადგილიანი მაგიდა, 20 სკამი

სასწავლო აუდიტორიებში განთავსებული აღჭურვილობა იძლევა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერება;
2. ინვენტარისა და ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2019

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა და ცენტრალური გათბობა; სასწავლო ოთახებს გააჩნია ბუნებრივი განათების შესაძლებლობა; 2 საპირფარეშო (ცალ-ცალკე მამაკაცებისა და, ქალბატონებისთვის) ორ-ორი სველი წერტილით. დაწესებულებას იჯარის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი აქვს პირველ სართულზე განთავსებული ადაპტირებული საპირფარეშოთი სარგებლობა შშმ პირების მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერებით;
2. 2019 წლის 13 მარტის იჯარის ხელშეკრულება N5-03/19.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველო დარბაზში. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. წიგნის მე-3 და მე-17 გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ბეჭედი და საინვენტარო ნომერი. წიგნების ელექტრონული ვერსიები ჩაწერილია CD დისკებზე. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული სისტემით „Openbiblo“, აღნიშნული სისტემით მომსახურეობის მიღება სტუდენტებს შეუძლიათ ასევე ვებ გვერდის საშუალებით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 კომპიუტერი, რომელზეც ჩატვირთულია წიგნების ელექტრონული ვერსიები, ასევე 1 კომბაინი და მკითხველისთვის განკუთვნილი 3 მაგიდა. ექსპერტებმა შერჩევითი პრინციპით შეამოწმეს პროგრამებში/მოდულებში მითითებული ლიტერატურა, რის შედეგადაც ირკვევა, რომ კოლეჯის ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში/მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.
დაწესებულების ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის მიხედვით, ბიბლიოთეკიდან წიგნის ან სხვა მასალის გატანა შესაძლებელია გაწევრიანების შემდეგ, თუმცა დაწესებულება, სტუდენტების მხრიდან ლიტერატურის გატანის შესახებ მომართვიანობის არარსებობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2019

გამო, არ იყენებს მკითხველის ბარათს და შესაბამისად არ ფიქსირდება ლიტერატურის გატანის შემთხვევა. ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტები საბიბლიოთეკო სერვისით სარგებლობენ მხოლოდ ადგილზე, ბიბლიოთეკაში. დაწესებულების განმარტებით, ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანა ვერ ხერხდება წიგნების უმრავლესობის თითო ეგზემპლარის არსებობის გამო, რაც ამავე წესის 3.5 პუნქტიდან გამომდინარეობს: „საბიბლიოთეკო ერთეულის გატანა/არ გატანა დამოკიდებულია მასალისა და მკითხველის კატეგორიაზე, ერთეულის რაოდენობასა და მისი მოთხოვნის სიხშირეზე". დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სტუდენტების მიერ საბიბლიოთეკო სერვისით სრულყოფილად და შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, აწარმოოს მკითხველის ბარათი და მკითხველთა მომართვიანობის აღრიცხვის ჟურნალი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დირექტორის ბრძ.N71/18.12.2017);
2. ვიზუალური დათვალიერება;
3. ინტერვიურება.

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობასა და დაწესებულების მართვაში. არსებობს ბრძანება კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების შესახებ. დაწესებულებას აქვს 37 პერსონალური კომპიუტერი, 3 ნოუთბუქი, 3 პროექტორი, 5 სადემონსტრაციო მონიტორი და 5 მულტიფუნქციური პრინტერი, მათ შორის 2 პერსონალური კომპიუტერი, 2 მულტიფუნქციური პრინტერი და 2 ნოუთბუქი გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის.
დაწესებულებას ინტერნეტ მომსახურეობისა და ჰოსტინგის უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს მაგთიკომთან. კოლეჯის ვებ გვერდის დომენის ფლობა კი ექპერტებმა გადაამოწმეს ინტერნეტით nic.ge - ვებ გვერდზე არსებული ინფორმაციის მეშვეობით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

2. შპს მაგთიკომთან დადებული მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება N5-08/19 2019 წლის 1 მაისი;
3. კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების შესახებ ბრძანება N21/01.05.2019;
4. დომენური სახელების რეესტრი - www.nic.ge;
5. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯში 2011 წელს დირექტორის N8 ბრძანებით დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი, რომელშიც 2017 წლის დეკემბერში შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის N67 ბრძანებით. აღნიშნული წესი განმარტავს ბრძანებების, ხელშეკრულებების, მემორანდუმების, განცხადებების, წერილების, ოქმების, ცნობებისა და მოხსენებითი ბარათების მომზადების, გაფორმებისა (რეკვიზიტები) და რეგისტრაციის პროცედურებს. ასევე დოკუმენტების არქივირების წესს. ექსპერტების მოთხოვნის შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული წესის მიხედვით ნაწარმოები ჟურნალები აკინძული, დანომრილი და ზონარგაყრილი.
დაწესებულება გეგმავს ჩაერთოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საქმისწარმოების წესი (ბრძ.N8/2011 წელი);
2. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს „წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის წესის“ მე-3 მუხლით განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები, რომლის თანახმადაც, ევაკუაციის საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე მყოფი კოლეჯის თანამშრომლები მეთვალყურეობენ ევაკუაციის მიმდინარეობას. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია შესაბამისი უწყების მიერ შემუშავებული ევაკუაციის გეგმა, განთავსებულია გამართულ მდგომარეობაში მყოფი ცეცხლმაქრები.
პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ექთანთან და გააჩნია ექთნის ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საშუალებებით. მედიკამენტების აღრიცხვა ხდება შესაბამის ჟურნალში. წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის წესში გაწერილია ექთნის ვალდებულებები.
ამავე წესის მე-6 და მე-7 მუხლის თანახმად, დაცვის თანამშრომელი პასუხისმგებელია შენობის უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვაზე. იჯარის ხელშეკრულება მოიცავს საიჯარო ფართის დაცვის სპეციალური თანამშრომლის მომსახურებას და ასევე ვიდეო სათვალთვალო სისტემის ფუნქციონირებას. სისუფთავის დაცვის მიზნით კოლეჯს შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს დასუფთავების სპეციალისტთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის წესი;
2. 2019 წლის 22 აპრილის მიღება ჩაბარების აქტი ცეცხლმაქრების დამუხტვის შესახებ;
3. 2019 წლის 13 მარტის იჯარის ხელშეკრულება N5-03/19;
4. ბრძანება N20 /01.05.2019 ევაკუაციის გეგმა;
5. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას გააჩნია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. კოლეჯში შესასვლელად დამონტაჟებულია პანდუსი და VI სართულზე გადაადგილებისთვის ფუნქციონირებს ლიფტი. პირველ სართულზე არის განთავსებული შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილი, რომლით სარგებლობის უფლება გაწერილია იჯარის ხელშეკრულებაში. დაწესებულების განმარტებით და იჯარის ხელშეკრულების თანახმად, შშმ პირების გადაადგილებაზე პასუხისმგებელია დაცვის თანამშრომელი. შშმ პირებისთვის უზრუნველყოფილია წვდომა სასწავლო აუდიტორიებთან, ბიბლიოთეკასთან, ლაბორატორიებთან და კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2019 წლის 13 მარტის იჯარის ხელშეკრულება N5-03/19;
2. ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯს გააჩნია ვებ-გვერდი (barakoni.edu.ge), რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებ-გვერდზე ხორციელდება სიახლეების დამატება და განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, კოლეჯის მისია, პროგრამების კატალოგი, ნორმატიული აქტები, სტრუქტურა, პერსონალის შესახებ ინფორმაცია, პროგრამები, რომლებსაც კოლეჯი ახორციელებს. ვებ გვერდზე ასევე განთავსებულია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები და წარმოდგენილია 2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს ვებ-გვერდის საშუალებით წვდომა აქვთ საბიბლიოთეკო სერვისთან - „Openbiblo“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019

1. ვებ გვერდი - www.barakoni.edu.ge;
2. დომენური სახელების რეესტრი - www.nic.ge;
3. შ.პ.ს „მაგთიკომ“-თან ვებ ჰოსტინგის მომსახურების გაწევის ხელშეკრულება.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს „ბარაკონის“ დირექტორის 2015 წლის 25 დეკემბრის N36 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის 2016-2022 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენების მექანიზმებს, პროგრამისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, კოლეჯის ცნობადობის ამაღლებას და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებას. სტრატეგიული განვითარების გეგმაში სტრატეგიული მიზნები წარმოდგენილია ამოცანებად, შესაბამისი შესრულების ინდიკატორებით და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მითითებით.

2018 წლის 28 დეკემბრის N80 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის 2019 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, რომელშიც მოცემული კონკრეტული მიზნები გაწერილია ამოცანებად და აქტივობებად, განსაზღვრულია თითოეული აქტივობის შესრულების ინდიკატორი, პასუხისმგებელი პირი და ასევე შემსრულებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2015 წლის 25 დეკემბრის N36 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის 2016-2022 წლების განვითარების სტრატეგიული გეგმა;
2. დირექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის N80 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის 2019 წლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2019

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

თარიღი 24.05.19

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2019